



2024

შპს "ავიასერვისი"

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1-3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	7

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძვლები.....	8
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	13
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები	14
6. ძირითადი საშუალებები.....	15
7. წმინდა საიჯარო ინვესტიცია	16
8. შეზღუდული ფულადი სახსრები	16
9. მარაგები	16
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
11. გადახდილი ავანსები.....	17
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
13. საწესდებო კაპიტალი.....	17
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
15. მიღებული ავანსები	17
16. ამონაგები	18
17. რეალიზაციის თვითღირებულება	18
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18
19. ფინანსური რისკის მართვა.....	18
20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	20
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	21

მმართველობის ანგარიშგება

22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ავიასერვისის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ავიასერვისის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა მარაგების ფიზიკურ დათვლაში, თუმცა ვერ შევძელით საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მიღება, მათ შორის ალტერნატიული პროცედურების მეშვეობით, რაც შეეხება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მარაგების რაოდენობას, რომლის ოდენობა შეადგენს 2,588,008 ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, აგრეთვე ვერ შევძელით განგვესაზღვრა ზემოთ აღნიშნული ეფექტი 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია, რომ 2019 წლის 31 დეკემბრიდან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 31 დეკემბრიდან, იკრძალება იმ შვეულმფრენის გამოყენება, რომელსაც არ გააჩნია EASA-ს მიერ გაცემული სერტიფიკატი. შესაბამისად, ჯგუფს ეკრძალება შვეულმფრენების გამოყენება საწვრთნელი, საავიაციო, სოფლის მეურნეობის, ჰუმანიტარული და სხვა ფრენებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე ჯგუფმა 2022 წელს ფინანსური იჯარით გასცა მის მფლობელობაში არსებული შვეულმფრენი; 2023 და 2024 წლების განმავლობაში კომპანიამ ვერ მოახერხა სხვა ტიპის საჰაერო ხომალდებზე გადასვლა. 2023 და 2024

ფინანსური წლის განმავლობაში კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავალი. მოცემული ფაქტები მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ხელმძღვანელობის ანგარიშში - მმართველობითი ანგარიშება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბელავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

მპს ნექსია (SARAS-F-550338)

21 მაისი 2025 წელი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ავიასერვისის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ავიასერვისის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა მარაგების ფიზიკურ დათვლაში, თუმცა ვერ შევძელით საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულების მიღება, მათ შორის ალტერნატიული პროცედურების მეშვეობით, რაც შეეხება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მარაგების რაოდენობას, რომლის ოდენობა შეადგენს 2,588,008 ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღრიცხულ თუ აღრიცხავ მარაგებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, აგრეთვე ვერ შევძელით განგვესაზღვრა ზემოთ აღნიშნული ეფექტი 2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია, რომ 2019 წლის 31 დეკემბრიდან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 31 დეკემბრიდან, იკრძალება იმ შვეულმფრენის გამოყენება, რომელსაც არ გააჩნია EASA-ს მიერ გაცემული სერტიფიკატი. შესაბამისად, ჯგუფს ეკრძალება შვეულმფრენების გამოყენება საწვრთნელი, საავიაციო, სოფლის მეურნეობის, ჰუმანიტარული და სხვა ფრენებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე ჯგუფმა 2022 წელს ფინანსური იჯარით გასცა მის მფლობელობაში არსებული შვეულმფრენი; 2023 და 2024 წლების განმავლობაში კომპანიამ ვერ მოახერხა სხვა ტიპის საჰაერო ხომალდებზე გადასვლა. 2023 და 2024 ფინანსური წლის განმავლობაში კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავალი. მოცემული ფაქტები მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბაღებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ხელმძღვანელობის ანგარიშში - მმართველობითი ანგარიშება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში საქართველოს კანონის მიხედვით. მმართველობითი ანგარიშება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩინა საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- შესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშებას.

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღუკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

21 მაისი 2025 წელი

თბილისი, საქართველო





შპს „ავიასერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	766,704	833,513
არამატერიალური აქტივები		30,138	50,183
წმინდა საიჯარო ინვესტიცია	7	9,224,418	10,321,758
შეზღუდული ფულადი სახსრები	8	2,507,446	2,357,584
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,528,706	13,563,038
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	2,588,008	3,040,760
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,711,425	1,952,715
მიმდინარე წმინდა საიჯარო ინვესტიცია	7	2,211,282	2,904,945
გადახდილი ავანსები	11	1,394,174	1,354,520
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	779,283	1,750,942
შეზღუდული ფულადი სახსრები	8	-	44,375
საგადასახადო აქტივი, წმინდა		597,700	240,780
სულ მიმდინარე აქტივები		9,281,872	11,289,037
სულ აქტივები		21,810,578	24,852,075
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	13,942,773	16,827,773
დაგროვებული მოგება/(ზარალი)		6,033,019	6,694,179
სულ კაპიტალი		19,975,792	23,521,952
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	761,404	249,963
მიღებული ავანსები	15	1,073,382	1,080,160
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,834,786	1,330,123
სულ ვალდებულებები		1,834,786	1,330,123
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		21,810,578	24,852,075

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 21 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


დირექტორი
ალეკო ტყემალაძე


დირექტორი
ალექსანდრე კართხია

შპს „ავიასერვისი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	16	1,597,412	2,365,360
რეალიზაციის თვითღირებულება	17	(2,111,992)	(2,470,440)
საერთო ზარალი		(514,580)	(105,080)
საპროცენტო შემოსავალი, იჯარიდან	7	1,519,353	1,648,949
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,656,904)	(1,274,588)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(652,131)	269,281
არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი		43,210	(8,495)
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(1,320)	(10,675)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		387,002	(453,197)
ზარალი დაბეგვრამდე		(223,239)	(203,086)
მოგების გადასახადი		(437,921)	-
წლის წმინდა ზარალი		(661,160)	(203,086)

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 21 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ალეკო ტყემალაძე

დირექტორი

ალექსანდრე კართხია

შპს „ავიასერვისი“


კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)


	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება /(დაგროვილი ზარალი)	სულ
დეკემბერი 31, 2022		19,134,773	6,897,265	26,032,038
კაპიტალის შემცირება		(2,307,000)	-	(2,307,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	(203,086)	(203,086)
დეკემბერი 31, 2023		16,827,773	6,694,179	23,521,952
კაპიტალის შემცირება		(2,885,000)	-	(2,885,000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	(661,160)	(661,160)
დეკემბერი 31, 2024		13,942,773	6,033,019	19,975,792

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 21 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:



დირექტორი

ალექო ტყემალაძე



დირექტორი

ალექსანდრე კართხია

შპს „ავიასერვისი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი ნაკადები		2,769,110	5,200,026
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(2,996,457)	(4,205,805)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(1,197,276)	(1,246,489)
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		(744,930)	(484,328)
წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან მიღებული თანხები	8	2,165,121	1,170,817
წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	8	1,519,353	1,648,410
შეზღუდული ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		385,010	1,719,934
სხვა საოპერაციო საქმიანობაში გადახდილი ფული		(40)	-
გადახდილი საკომისიო		(5,540)	-
საოპერაციო საქმიანობიდან (გაცემული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,894,351	3,802,565
საინვესტიციო საქმიანობა			
შეზღუდულ ფულად სახსრებზე მიღებული სარგებელი		1,031	-
ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობიდან		1,031	-
საფინანსო საქმიანობა			
მიღებული სესხების დაფარვა	15	-	(2,012,011)
გადახდილი პროცენტი		(9,658)	(13,027)
კაპიტალიდან ფულადი აქტივების გატანა	14	(2,885,000)	(2,307,000)
ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(2,894,658)	(4,332,038)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა		(999,276)	(529,473)
ფული და ფულის ეკვივალენტები, 1 იანვრის მდგომარეობით		1,750,943	2,341,232
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		27,616	(60,817)
ფული და ფულის ეკვივალენტები, 31 დეკემბრის მდგომარეობით		779,283	1,750,942

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 21 მაისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ალეკო ტყემალაძე

დირექტორი

ალექსანდრე კართხია

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ავიასერვისი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2004 წლის 22 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 205040098. კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი #39ა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ალექო ტყემალაძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის გადაზიდვა/გადაყვანის მომსახურება, მარაგების რეალიზაცია და ტექნიკური მომსახურება. საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ, საკუთარი და იჯარით აღებული შვეულმფრენების მეშვეობით. 2014 წლის შემდგომ კომპანიამ დაიწყო საქმიანობის ზრდა. თუმცა, 2021 წლის 31 დეკემბრიდან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიხედვით, აიკრძალა იმ ვერტმფრენის გამოყენება, რომელსაც არ გააჩნია EASA-ს მიერ გაცემული სერტიფიკატი. შედეგად, აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში დაიწყო მის მთავარ კონტრაგენტთან ხელშეკრულების ეტაპობრივი გაწყვეტა, რომელიც 2021 წლის ბოლოს დასრულდა. შესაბამისად, კომპანიას ეკრძალება შვეულმფრენების გამოყენება კომერციული საქმიანობისათვის. კომპანიას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა ახალ პროექტზე, რაც გულისხმობს სხვა ტიპის საჰაერო ხომალდებზე გადასვლას და საჰაერო ბიზნესის სახეობის შეცვლას.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს აერო როტორ ჰოლდინგი	100%	100%

კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები 10%-ზე მეტი წილით არიან: ალექო ტყემალაძე (22%), ალექსანდრე კართხია (21%) და გოჩა ვარდიძე (12%) ხოლო დანარჩენ მფლობელებს გააჩნიათ 10%-ზე ნაკლები წილი.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემულ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია მე-3 შენიშვნაში ქვემოთ, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

2.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. 2021 წლის 31 დეკემბრიდან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიხედვით, აიკრძალა იმ ვერტმფრენის გამოყენება, რომელსაც არ გააჩნია EASA-ს მიერ გაცემული სერტიფიკატი. შედეგად, აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში დაიწყო მის მთავარ კონტრაგენტთან ხელშეკრულების ეტაპობრივი გაწყვეტა, რომელიც 2021 წლის ბოლოს დასრულდა. შესაბამისად, კომპანიას ეკრძალება შვეულმფრენების გამოყენება კომერციული საქმიანობისათვის.

კომპანიას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა ახალ პროექტზე, რაც გულისხმობს სხვა ტიპის საჰაერო ხომალდებზე გადასვლას და საჰაერო ბიზნესის სახეობის შეცვლას. აღნიშნული ცვლილებები სამუხაროდ გამოიწვევს საკადრო ცვლილებებს, განსაკუთრებით საფრენოსნო შემადგენლობაში,

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

რადგან საჭირო იქნება ახალი ტიპის ხომალდებისთვის შესაფერისი კვალიფიკაციის მფრინავების დასაქმება. თუმცა ასევე იგეგმება არსებული შემადგენლობის ნაწილის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. 2023 და 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ ვერ მოახერხა სხვა ტიპის საჰაერო ხომალდებზე გადასვლა და მის შემოსავალს შეადგენდა სხვა საავიაციო მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავლები. ჯგუფის ძირითადი შემოსავალი შეადგენდა ძირითადი საშუალების გაქირავების შედეგად მიღებული საიჯარო შემოსავლები.

რაც შეეხება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას, შემდეგია:

- ჯგუფის მიმდინარე მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს.
- მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჯგუფი არის ზარალზე, მისი დაგროვილი მოგება და ასევე, მთლიანი კაპიტალი დადებითი ნიშნების მატარებელია.
- ჯგუფს გააჩნია საბანკო სესხები, რომლებსაც იხდის პერიოდულად და სესხებთან მიმართებაში არ შექმნია დარღვევები კოვენანტებთან მიმართებაში. (იხილეთ შენიშვნა 14).
- 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია არამატერიალური დავალიანება თანამშრომლების მიმართ. ფინანსური ანგარიშის მიხედვით კი ჯგუფის დანახარჯების დიდი ნაწილი არის თანამშრომელთან ანაზღაურება. მათ მიმართ დროული დაფარვა დავალიანების, მიუთითებს იმაზე, რომ ჯგუფს გააჩნია საკმარისი რესურსი იმსათვის, რომ შეინარჩუნოს საჭირო საკადრო რესურსი.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნულის დაშვებით.

3. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ აღწერილი არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3.1. ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

3.2. ამონაგების აღიარება

კომპანია შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, ყოველთვიური ინვოისის გამოწერის საფუძველზე.

როდესაც კომპანია მისი შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით წარმოადგენს რწმუნებულს, ამასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები მოგება ზარალის ანგარიშგებაში წარედგინება წმინდა შედეგით.

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3.3. დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები

ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განაზოციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

თუ ძირითადი საშუალების უწყვეტი გამოყენების პირობა მოითხოვს პერიოდულ სრულმასშტაბიან შემოწმებებს დეფექტების გამოსაშკარავებლად, იმის მიუხედავად, ამ ერთეულის ნაწილები შეიცვლება თუ არა, ასეთი სრულმასშტაბიანი შემოწმებების ღირებულება აისახება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, როგორც შემცველი, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, წყდება წინა შემოწმების ღირებულების ნარჩენი საბალანსო ღირებულების აღიარება. ამას ადგილი აქვს იმის მიუხედავად, წინა შემოწმების ღირებულება აისახა თუ არა ერთეულის შეძენის ან შექმნის ოპერაციის ღირებულებაში. თუ აუცილებელია, მომავალი მსგავსი შემოწმების მოსალოდნელი ღირებულების ინდიკატორად, გამოიყენება ის თუ რა იყო მიმდინარე შემოწმების კომპონენტის ღირებულება, ერთეულის შეძენის ან შექმნის მომენტში.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)	
შენობა ნაგებობები	15-20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები და შვეულმფრენი	10 წელი
კაპიტალური რემონტი	15-20 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-25 წელი
ოფისის აღჭურვილობა	10-15 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. აქტივის საბალანსო ღირებულება მყისიერად ჩამოიწერება მის აღდგენად თანხამდე თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე დადგენილი აღდგენადი თანხა. გასვლიდან მიღებული შემოსულობები და

ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

3.5. იჯარა

კომპანიის მიერ გაცემული იჯარა კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარად. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით იმ შემთხვევაში თუ სხვა სისტემატური საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს საიჯარო აქტივის გამოყენებით მიღებული სარგებლის შემცირების მოდელს/სქემას).

ფინანსური იჯარისათვის განკუთვნილ აქტივს მეიჯარე ასახავს ბალანსში ძირითადი საშუალებების შემცირების და მისაღები მოთხოვნების სახით. ფინანსური იჯარის არსებითი დამახასიათებელი ნიშანია საიჯარო აქტივის იურიდიულ ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკისა და ეკონომიკურ სარგებლის გადაცემა მოიჯარისათვის.

კომპანია, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს) იჯარის ვადის განმავლობაში.

3.6. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს „რეალური ღირებულებით“, ხოლო შემდგომ აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებულ ღირებულებას. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია აპირებს ანგარიშსწორება

განხორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.7. დამატებითი ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

3.8. მარაგები

მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს. ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

3.9. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მატალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.11. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

3.12. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.13. დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში; ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

3.14. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამომანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს.

ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოიშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგების გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ყერდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა

ეს გამოცემა არ მოიცავს იმ საბუღალტრო სტანდარტებს, რომელთა ამოქმედების თარიღი 2024 წლის 1 იანვრის შემდეგია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) მე-30 პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიის, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ასახავს იმ სტანდარტებს და შესწორებებს, რომლებიც უკვე გამოცემულია, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა.

ცხრილი – საბუღალტრო სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა (2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)			
სტანდარტი/შესწორება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (ადრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული)	შესწორებული სტანდარტები/ინტერპრ- აციები
გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორებები)	აგვ-23	1-იან-25	ბასს 21, ფასს 1

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა

ბასს 21-ში შეტანილი ცვლილებები კომპანიის ავალდებულებს, რომ მან გამოიყენოს თანმიმდევრული მიდგომა იმის დასადგენად, არის თუ არა ვალუტა გაცვლითუნარიანი და, იმ შემთხვევაში, თუ არ არის, როგორ უნდა განისაზღვროს გამოსაყენებელი გაცვლითი კურსი და რა სახის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს.

არამიმდინარე ვალდებულებები გარანტიებით (ბასს 1-ის დამატებითი შესწორება)

IASB-მ 2022 წლის ოქტომბერში ბასს 1-ში შემდგომი შესწორებები შეიტანა, რათა განემარტა, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების გადავადების უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის გარანტიების შესრულება მოეთხოვება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც სავალდებულოდ ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან

გაცვლითუნარიანობის ნაკლებობა (ბასს 21-ის შესწორება)

2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-მ გამოსცა შესწორებები ბასს 21-ში, რომლებიც დაკავშირებულია გაცვლითუნარიანობის ხანგრძლივ ნაკლებობასთან.

წინასწარი მოთხოვნები ამ საკითხზე ბასს 21-ში არ არსებობდა, რის გამოც აღრიცხვაში სხვადასხვა პრაქტიკა გამოიყენებოდა. აღნიშნული შესწორებები ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ვალუტა არ არის გაცვლითუნარიანი და განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს გაცვლითი კურსი ასეთ შემთხვევებში.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებით გავლენას არ იქონიებს.

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	შენობა ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები და შვეულმფრენები	კაპიტალური რემონტი	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55,629	89,889	44,625	72,040	100,899	1,912,934	2,276,016
შეძენები	-	-	-	3,381	1,224	783	5,388
გასვლა	-	-	(44,625)	-	-	-	(44,625)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	55,629	89,889	-	75,421	102,123	1,913,717	2,236,779
შეძენები	4,614	-	-	-	1,971	8,395	14,980
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60,243	89,889	-	75,421	104,094	1,922,112	2,251,759
დაგროვილი ცვეთა							
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(13,948)	(42,901)	-	(16,028)	(44,161)	(1,202,622)	(1,319,660)
წლის ცვეთის დარიცხვა	(3,586)	(10,673)	-	(3,102)	(8,027)	(58,218)	(83,606)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(17,534)	(53,574)	-	(19,130)	(52,188)	(1,260,840)	(1,403,266)
წლის ცვეთის დარიცხვა	(3,612)	(7,766)	-	(3,179)	(8,106)	(59,126)	(81,789)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(21,146)	(61,340)	-	(22,309)	(60,294)	(1,319,966)	(1,485,055)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	38,095	36,315	-	56,291	49,935	652,877	833,513
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	39,097	28,549	-	53,112	43,800	602,146	766,704

კომპანიის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება წარმოადგენს დედა კომპანიის მიერ აღებული სესხის უზრუნველყოფას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზირებული აქტივების ისტორიული ღირებულება მოიცავს 7, 916,227 ლარს (2023: 7,912,977 ლარი)

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

7. წმინდა საიჯარო ინვესტიცია

წმინდა საიჯარო ინვესტიცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე წმინდა ინვესტიცია იჯარაში	2,211,282	2,904,945
გრძელვადიანი წმინდა ინვესტიცია იჯარაში	9,224,418	10,321,758
სულ წმინდა ინვესტიცია იჯარაში	11,435,700	13,226,703

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 იანვრის მდგომარეობით (თავდაპირველი აღიარებისას)	13,226,703	14,162,598
ზრდა	397,118	-
საპროცენტო შემოსავალი	1,519,353	1,648,949
პროცენტის გადახდა	(1,519,353)	(1,648,410)
გადახდები წლის განმავლობაში	(2,165,121)	(1,170,817)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(23,000)	234,383
31 დეკემბრის მდგომარეობით	11,435,700	13,226,703

წმინდა საიჯარო ინვესტიცია წარმოადგენს მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია, დისკონტირებული საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, კომპანიამ 2022 წლის 16 მარტს არაბულ კომპანია Expedition AVIATION (FZC) - ზე ფინანსური იჯარით გასცა მის საკუთრებაში არსებული MI-171 ტიპის შვეულმფრენი საწარმოო სერიული ნომრით 594896 19851. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი განისაზღვრა 60 თვე/(5 წელი) 1 წლის განახლების უფლებით. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

საიჯარო გადასახდელები ნომინირებულია აშშ დოლარში და განსაზღვრულია გრაფიკის შესაბამისად. წმინდა საიჯარო ინვესტიციის მთლიანი თანხა განისაზღვრა 6,010,000 აშშ დოლარის ოდენობით ხოლო იჯარის საპროცენტო განაკვეთი კი 12.5% წლიურად.

8. შეზღუდული ფულადი სახსრები

შეზღუდული ფული 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად 2,507,446 და 2,401,959 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხები წარმოადგენს შეზღუდულ თანხას ქართუ ბანკში დედა კომპანიის (შპს აერო როტორ ჰოლდინგი) სესხის უზრუნველსაყოფად და გარანტიის თანხებს.

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სათადარიგო ნაწილები	470,910	749,696
გასაყიდად განკუთვნილი საქონელი	519,990	715,204
საპოხი საშუალებები	700,071	704,332
სახარჯი მასალები	541,179	528,961
ხელსაწყოები	322,230	313,957
სხვა მარაგები	33,628	28,610
	2,588,008	3,040,760

მარაგები განთავსებულია როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ და გამოიყენება საქონლისა და მომსახურების მიწოდებაში, კომპანიის მარაგები არ არის დატვირთული გირაოთი.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები საავიაციო მომსახურებიდან	1,701,976	1,951,389
მოთხოვნები სხვა საქმიანობიდან	9,449	1,326
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,711,425	1,952,715

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სრულად წარმოადგენს ვადადუმდგარ და გაუფასურების გარეშე მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

კომპანია არ აღიარებს ვადადუმდგარ ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების რეზერვს, რადგან არ გააჩნია აღნიშნული აქტივების საკრედიტო გაუფასურების გამოცდილება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვალუტების მიხედვით გაშლა იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

11. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად 1,394,174 და 1,354,520 ლარი შესაბამისად.

კომპანიას გადახდილი აქვს ავანსი მომწოდებელზე, რომელიც გულისხმობს ტექნიკურ მომსახურებას, კერძოდ, ვერტმფრენის ტექნიკური ზედამხედველობის პროცესის ჩატარებას, პილოტების გაცნობით სწავლებასა და პერსონალისთვის სერვისის ტრენინგის ჩატარებას.

გაცემული ავანსები არ არის ვადაგადაცილებული და შესაბამისად, არც ჩამოსაწერი.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	510,463	1,268,048
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	265,099	479,173
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	3,721	3,721
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	779,283	1,750,942

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარიცხო.

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ და შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგინა 13,942,773 ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერს 16,827,773 ლარი. 2021 წლის 1 ნოემბრის პარტნიორთა გადაწყვეტილებით, კომპანიის კაპიტალი შემცირდა 6,500,000 ლარით, საიდანაც 2024 წელს გაიცა 2,885,000 ფულადი აქტივის სახით, ხოლო 2023 წელს 2,307,000 ლარის ოდენობით შესაბამისად.

კომპანიის გასანაწილებელი დივიდენდი იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით (მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით). 2024 და 2023 წლებში კომპანიას არ აქვს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	732,588	241,206
გადასახდელი ხელფასები	28,816	7,122
სხვა	-	1,635
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	761,404	249,963

დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში შემავალი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გაშლა ვალუტების მიხედვით იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

15. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად 1,073,382 და 1,080,160 ლარი შესაბამისად.

კომპანიას მიღებული აქვს ავანსი, რომელიც წარმოადგენს ტექნიკური მომსახურების ღირებულების ნაწილს, კერძოდ, ვერტმფრენის ტექნიკური ზედამხედველობის პროცესის ჩატარებას.

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

16. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი მარაგების გაყიდვიდან	656,989	1,097,361
შემოსავალი ტექნიკური მომსახურებიდან	562,450	804,373
შემოსავალი საფრენოსნო მომსახურების რეალიზაციიდან	287,146	317,273
შემოსავალი ფრენების ორგანიზებიდან	-	38,664
შემოსავალი საწვავით გამართვის მომსახურებიდან	54,660	-
სხვა შემოსავალი	36,167	107,689
სულ ამონაგები	1,597,412	2,365,360

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას, „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიხედვით“ აკრძალა იმ ვერტიკალური გამოყენება, რომელსაც არ გააჩნდა EASA-ს მიერ გაცემული სერტიფიკატი, რის გამოც, კომპანიის ამონაგები საგრძნობლად შემცირდა გასულ წლებთან შედარებით.

17. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2024	2023
ხელფასი	803,609	822,037
გაყიდული ნაწილების თვითღირებულება	246,587	733,696
დაზღვევის ხარჯი	262,643	64,900
ტრანსპორტირების ხარჯი	171,037	117,274
საავიაციო ნავთის ხარჯი	144,199	378,542
სახარჯი მასალების ხარჯი	241,142	116,876
შველმფრენების იჯარის ხარჯი	85,443	25,504
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	28,215	116,609
ცვეთის ხარჯი	20,283	16,007
სხვა ხარჯები	108,834	78,995
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2,111,992	2,470,440

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება ხელფასი	531,737	565,550
გაუფასურების ხარჯი	421,567	-
საიჯარო ქირა	349,080	349,080
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	93,604	103,859
ცვეთა და ამორტიზაცია	81,615	87,709
საკონსულტაციო ხარჯები	53,658	84,626
მივლინების ხარჯი	31,782	30,390
გადარიცხვის საკომისიო	4,147	7,429
სხვა	89,714	45,945
	1,656,904	1,274,588

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის ხელმძღვანელობის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკებს),
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	1,711,425	1,952,715
წმინდა საიჯარო ინვესტიცია	11,435,700	13,226,703
ფული და ფულის ეკვივალენტები	775,562	1,747,221
შეზღუდული ფული	2,507,446	2,401,959
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	16,430,133	19,328,598

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს. ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

31 დეკემბერი, 2024	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	568,870	1,142,555	1,711,425
წმინდა საიჯარო ინვესტიცია	-	11,435,700	11,435,700
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	525,453	525,453
შეზღუდული ფული	-	2,507,446	2,507,446
სულ ფინანსური აქტივები	568,870	15,611,154	16,180,024
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	114,457	350,703	465,160
სულ ფინანსური ვალდებულებები	114,457	350,703	465,160
ღია სავალუტო პოზიცია	454,413	15,260,451	15,714,864
20% ვალუტის კურსის ზრდა	90,883	3,052,090	3,142,973
20% ვალუტის კურსის შემცირება	(90,883)	(3,052,090)	(3,142,973)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2023	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	588,965	1,222,560	1,811,525
წმინდა საიჯარო ინვესტიცია	-	13,226,703	13,226,703
ფული და ფულის ეკვივალენტები	28,352	1,239,696	1,268,048
შეზღუდული ფული	-	2,401,959	2,401,959
სულ ფინანსური აქტივები	617,317	18,090,918	18,708,235
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	44,367	35,357	79,724
სულ ფინანსური ვალდებულებები	44,367	35,357	79,724
ღია სავალუტო პოზიცია	572,950	18,055,561	18,628,511
20% ვალუტის კურსის ზრდა	114,590	3,611,112	3,725,702
20% ვალუტის კურსის შემცირება	(114,590)	(3,611,112)	(3,725,702)

შპს „ავიასერვისი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და სუბიექტი დადგება ფინანსური სირთულის წინაშე. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით.

ხელმძღვანელობა კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის არის შემდეგი:

31 დეკემბერი, 2024	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	779,283		779,283
შეზღუდული ფული	-	2,507,446	2,507,446
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,711,425		1,711,425
წმინდა საიჯარო ინვესტიცია	2,211,282	9,224,418	11,435,700
სულ ფინანსური აქტივები	4,701,990	11,731,864	16,433,854
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	761,404		761,404
სულ	761,404	-	761,404
სხვაობა	3,940,586	11,731,864	15,672,450

31 დეკემბერი, 2023	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	1,750,942	-	1,750,942
შეზღუდული ფულადი სახსრები	44,375	2,357,584	2,401,959
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,952,715	-	1,952,715
წმინდა საიჯარო ინვესტიცია	2,904,945	10,321,758	13,226,703
სულ ფინანსური აქტივები	6,652,977	12,679,342	19,332,319
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	249,963	-	249,963
სულ	249,963	-	249,963
სხვაობა	6,403,014	12,679,342	19,082,356

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	84,326	137,305
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება		
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	140,378	140,510

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2025 წლის განმავლობაში პარტნიორთა გადაწყვეტილებით კაპიტალი შემცირდა 845,750 ლარის ოდენობით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობის ანგარიში



შპს ავიასერვისი

2024 წლის ინდივიდუალური მმართველობის
ანგარიშგება



სარჩევი:

2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა	3
2. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები	5
3. კომპანიის სტრატეგია და მიზნები	6
4. კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა.....	7
5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	8

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა

შპს „ავიასერვისი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2004 წლის 22 სექტემბერს. 2014 წლის შემდგომ კომპანიამ დაიწყო საქმიანობის ზრდა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის შვეულმფრენით გადაზიდვა/გადაყვანის მომსახურება, საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ. კომპანია იყენებს საკუთარ და იჯარით აღებულ შვეულმფრენებს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მესაკუთრე იყო შპს აერო როტორ ჰოლდინგი.

კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი 17, სადაც განთავსებულია კომპანიის ადმინისტრაცია. კომპანიის იურიდიული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი #39ა, თბილისი, საქართველო.

აგრეთვე კომპანიას აქვს მეორე ოფისი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, დიდი ლილოს დასახლების ტერიტორიაზე, სადაც განთავსებულია საფრენოსნო ადმინისტრაცია, საფრენოსნო და საინჟინრო-ტექნიკური სამსახურები, ანგარი და პელიკადი.

პირველივე წელს კომპანიამ მოიპოვა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მიერ გაცემული, საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტის ლიცენზია, რამაც კომპანიას მისცა საშუალება იწოდებოდეს ავიაკომპანიად. გარდა ამისა, შპს ავიასერვისი ფლობს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს ლიცენზიას და აქვს უფლება საფრენოსნო ოპერირება და ტექნიკური მომსახურება გაუწიოს შემდეგი ტიპის საჰაერო ხომალდებს:

MIL MI-171, MI-8T, MI8-P, MI8-MTV, MI17-1V, Airbus helicopters BK-117C-2 და AS350.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩამონათვალი არ წარმოადგენს კომპანიის შესაძლებლობების ლიმიტს და აქვს უნარი მოემსახუროს საჰაერო ხომალდების ტიპების უფრო ფართო სპექტრს.

შპს ავიასერვისი თავიდანვე დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომელთაც გააჩნდათ, როგორც საავიაციო სფეროში მუშაობის ასევე ურთიერთთანამშრომლობის, მრავალწლიანი გამოცდილება, რამაც შექმნა მყარი საფუძველი კომპანიის მომავალი განვითარებისათვის და ჩამოაყალიბა თანამშრომლების ის ბირთვი და მეგობრული ატმოსფერო, რომელზეც დამყარებულია კომპანიის დღევანდელი მდგომარეობა და ფასეულობები.

მიუხედავად იმისა, რომ საავიაციო სფერო საკმაოდ კაპიტალტევადია და საჰაერო ხომალდების მესაკუთრე საავიაციო კომპანიების აქტივების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს საჰაერო ხომალდები, შპს ავიასერვისის მთავარ ღირებულებას ყოველთვის წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს ადამიანური რესურსი, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღეის მდგომარეობით კომპანია არის იმ თანამშრომლების საკუთრება, რომელთაც შეიტანეს წვლილი მის განვითარებაში, კერძოდ:

შპს „აერო როტორ ჰოლდინგი“ დაარსდა შპს ავიასერვისის თანამშრომლების მიერ. კომპანიის დაარსების მიზანი იყო შპს ავიასერვისის 100%-იანი წილის გადაცემა ყოფილი მფლობელების მიერ კომპანიის თანამშრომლებისთვის. 2018 წლის 10 აპრილს შპს „აერო როტორ ჰოლდინგმა“ გააფორმა ხელშეკრულება შპს ავიასერვისის ყოფილ მფლობელებთან 100%-იანი წილის გადაცემის შესახებ.

შეთანხმების საფუძველზე, შპს ავიასერვისის ყოფილ დამფუძნებლებს გადაეცათ შპს ავიასერვისის საკუთრებაში არსებული გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული შვეულმფრენი საბალანსო ღირებულებით 6,295,964 ლარი. დამატებით, შპს აერო როტორ ჰოლდინგმა აიღო ვალდებულება შპს ავიასერვისის 100%-იანი წილის სანაცვლოდ ყოფილ დამფუძნებლებს გადაუხადოს 5,000,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი მომავალი 15 წლის განმავლობაში 10% წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. აღნიშნული ვალდებულება უზრუნველყოფილია შპს ავიასერვისის 100%-იანი წილით. აღნიშნული ვალდებულების სრულად გასტუმრებამდე შპს „აერო როტორ ჰოლდინგი“ ვალდებულია:

- არ გაასხვისოს და არ დააგირაოს შპს „ავიასერვისის“ წილი გირავნობის უფლების შეწყვეტამდე;
- არ დაუშვას წილის ღირებულების შემცირება ან გაუფასურება.

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ავიასერვისის ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ მისი თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები.

2004 წლიდან კომპანია ძირითადად ოპერირებდა საქართველოს ფარგლებში და ეწეოდა ჩარტერული რეისებით მომსახურებას, თუმცა საქართველოში მცირე ავიაციის განუვითარებლობის გამო, მიღებული შემოსავლები განვითარებისათვის არასაკმარისი იყო და ფარავდა მხოლოდ კომპანიის მიმდინარე ხარჯებს, ხოლო მსხვილი კაპიტალური დანახარჯების (მაგ. შვეულმფრენების შეძენა და კაპიტალური რემონტი) ანაზღაურება ხდებოდა დამფუძნებლების შენატანის მეშვეობით, რამაც განაპირობა კომპანიის ზარალიანობა და რამდენიმე მილიონი ლარის ზარალის აკუმულირება წლების მანძილზე.

2010 წელს არასასურველი ფინანსური მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, დამფუძნებლების მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მომსახურების გეოგრაფიული არეალის გაფართოებასთან დაკავშირებით. შედეგად კომპანიის მენეჯმენტმა დაიწყო ახალი შესაძლებლობების ძიება ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რამაც 2010 წლის ბოლოს მოგვიტანა პირველი საერთაშორისო კონტრაქტი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ პროექტში - ავღანეთის ტერიტორიაზე. შპს ავიასერვისის აღნიშნული პროექტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ პროექტში მონაწილეობას ვიღებდით მხოლოდ ერთი შვეულმფრენით 2011 წელს კომპანია პირველად გავიდა მცირე მოგებაზე. სამწუხაროდ ამავე წლის ბოლოს კომპანიისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოგვიწია საერთაშორისო კონტრაქტიდან მოულოდნელად გამოსვლა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ შევძელით კომპანიის სახელის გატანა საერთაშორისო მასშტაბზე და საკმაოდ დადებითი გამოხმაურების მიღება.

2011 წლიდან 2015 წლის ბოლომდე კომპანიამ ყურადღება ისევ საქართველოს ბაზარზე გადმოიტანა და განახორციელა რამდენიმე წარმატებული პროექტი. მათ შორის იყო რეგულარული რეისების აღდგენა თბილისიდან მესტიის მიმართულებით, რამაც გზა გაუხსნა სხვა ავიაკომპანიებსაც თავისი რესურსი მიემართათ ამ მიმართულებით.

2015 წლის შემოდგომა გარდამტეხი აღმოჩნდა ავიაკომპანიისათვის, რადგან ამ დროს კომპანია ისევ დაბრუნდა საერთაშორისო ბაზარზე და ეს ისევ კომპანიისთვის უკვე ნაცნობი ავღანეთი აღმოჩნდა. ამჯერად კომპანია ჩაერთო გერმანიის მთავრობის პროექტში მაზარ ი შარიფის სამხედრო ბაზაზე.

2016 წელს აგრეთვე ავიაკომპანიამ დაიწყო მუშაობა აფრიკის ქვეყნებში, მალიში და სამხრეთ სუდანში, სადაც ასევე საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში იღებდა მონაწილეობას სამოქალაქო ავიაციის კუთხით.

ზემოხსენებულმა განაპირობა ის რომ, 2016-2017 წლებში მოხდა შპს ავიასერვისის სწრაფი ზრდა, როგორც საჰაერო ფლოტის, ასევე ფინანსური და ადამიანური რესურსის მიმართულებით.

მაგალითისათვის 2014 წელს კომპანიის ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 1,5 მლნ ლარი, 2018 წლისათვის 28 მლნ. ლარი შეადგინა.

შპს ავიასერვისი რეგისტრაციით მფრინავმა და მის საკუთრებაში არსებულმა ხომალდებმა 2014 წელს არსებული 2-დან 2018 წლისათვის 11-მდე, (მათ შორის საერთაშორისო მისიებში ჩართული იყო 8 ხომალდი), ხოლო თანამშრომლების რაოდენობა იყო 115, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღარ ჰყავდა არც ერთი შვეულმფრენი.

2017 წლიდან შპს ავიასერვისი წარმოადგენს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ქვეკონტრაქტორს.

2017 წელს კომპანიამ მიიღო 9001:2015 სერტიფიკატი ხარისხის მენეჯმენტის სისტემებში, რომელსაც დღემდე წარმატებით ინარჩუნებს.

2018 წლის აგვისტოდან რეგისტრირებულია გაეროს მომარაგების სისტემაში (UNMG).

2023 წელს კომპანიამ მიიღო საჰაერო გადაზიდვა გადაყვანის ოპერატორის კომერციული ლიცენზია.

2. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

შპს ავიასერვისი, ისევე როგორც სხვა კომერციული საქმიანობის მქონე იურიდიული პირები, ორიენტირებულია მოგებაზე, ბიზნესის განვითარებაზე და საქმიანობის მიმართულებების დივერსიფიცირებაზე.

შპს ავიასერვისი ფინანსური ანგარიშგების შეფასებისთვის იყენებს ქვემოთ მოცემულ ფინანსურ კოეფიციენტებს:

შპს ავიასერვისის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კომპანიას გააჩნდეს ამ ვალდებულებების მომსახურების შესაბამისი რესურსი. 2024 წელს 2023 წელთან შედარებით ლიკვიდურობის მაჩვენებლები შემცირებულია, რაც გამოწვეულია მიმდინარე აქტივების შემცირებით..

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	2,588,008	3,040,760
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,711,425	1,952,715
მიმდინარე წმინდა საიჯარო ინვესტიცია	2,211,282	2,904,945
გადახდილი ავანსები	1,394,174	1,354,520
ფული და ფულის ეკვივალენტები	779,283	1,750,942
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	44,375
საგადასახადო აქტივი, წმინდა	597,700	240,780
სულ მიმდინარე აქტივები	9,281,872	11,289,037
მიმდინარე ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	761,404	3,314,512
მიღებული ავანსები	1,073,382	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,834,786	1,330,123

	2024	2023
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	5.05	8.48
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	3.64	3.34

2024 წელს მცირედით შემცირდა გრძელვადიანი და მიმდინარე ვალდებულებები, ამასთან შემცირდა კაპიტალიც, რამაც გამოიწვია უმნიშვნელოცვლილება ფინანსურ ლევერიჯზე.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	13,942,773	16,827,773
დაგროვებული მოგება/(ზარალი)	6,033,019	6,694,179
სულ კაპიტალი	19,975,792	23,521,952
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	761,404	249,963
მიღებული ავანსები	1,073,382	1,080,160
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,834,786	1,330,123
სულ ვალდებულებები	1,834,786	1,330,123
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	21,810,578	24,852,075
ფინანსური ლევერიჯი	1.09	1.05

ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელი შემცირდა, რამაც დადებითი ეფექტი მოახდინა კომპანიის ფინანსურ

2. კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

სურათზე. იგი ნორმის ფარგლებშია და მომდევნო პერიოდებში მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის შენარჩუნება/ გაუმჯობესება.

2024 წელს შემცირდა კაპიტალთან ერთად წმინდა მოგებაც, კომპანია წელს ზარალზეა, თუმცა ROE კოეფიციენტის ცვლილება არ მომხდარა.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	13,942,773	16,827,773
დაგროვებული მოგება/(ზარალი)	6,033,019	6,694,179
სულ კაპიტალი	19,975,792	23,521,952
ამონაგები	1,597,412	2,365,360
წმინდა მოგება	(661,160)	(203,086)

უკუგება კაპიტალზე 2024 წელს იყო - 8%, 2023 წელს - 8%, აღსანიშნავია, რომ ROE-ს ცვლილება არ მომხდარა რადგან შემცირდა ამონაგები და ასევე შემცირდა კაპიტალი.

3. კომპანიის სტრატეგია და მიზნები

მცირე ავიაციის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია გრძელვადიანი გეგმების განსაზღვრა, თუმცა მომავალი წლების განმავლობაში კომპანიას დასახული აქვს რამდენიმე მოკლევადიანი მიზანი:

- 2022 წელს საკანონმდებლო შეზღუდვებთან დაკავშირებით კომპანიამ შეწყვიტა ძირითადი საქმიანობის განხორციელება და შესაბამისად დაგეგმილია ახალი საქმიანობის განვითარება, კომპანიას უკვე დასახული აქვს შესაბამისი გეგმა და გადადგმილი აქვს გარკვეული ნაბიჯები, რომლებსაც ბოლო რამდენიმე წელია ეტაპობრივად ახორციელებს, თუმცა მსოფლიოში შექმნილი სხვადასხვა კრიზისის გამო ჯერ ვერ მოახერხა საბოლოო მიზნის მიღწევა
- კვლავაც დაგეგმილია ტექნიკური მომსახურების სფეროს გაფართოება და უფრო მეტი სახეობისა და სირთულის მომსახურების შეთავაზება კლიენტებისათვის და ამ სფეროს განვითარების პარალელურად დაინერგება ახალი კადრების მომზადების სისტემებიც, ამ მხრივ კომპანიამ უკვე დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა, 2024 წლის განმავლობაში ავიასერვისის წარმატებით ახორციელებდა კლიენტების საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებას.
- 2021 წელს კომპანიამ დაიწყო თბილისის ტექნიკურ ბაზაზე სხვა კომპანიების საჰაერო ხომალდების მიღება და მათი ტექნიკური მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მომსახურება არ ატარებს მასიურ ხასიათს, კომპანიისათვის აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვანია, მომსახურების მიწოდების სისტემის სრულყოფისათვის და გამოცდილების დასაგროვებლად, როგორც თავად კომპანიისათვის ასევე მისი თანამშრომლებისათვის.
- ყველა ზემოთხსენებული გეგმის წარმატებით განხორციელება, კომპანიას დაეხმარება განაგრძოს ფუნქციონირება და გადაეწყოს ახალი ტიპის მომსახურებებზე.

4. კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ავიასერვისის ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ მისი თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები:

კომპანიის მფლობელები	2024	2023
ალეკო ტყემალაძე	22%	22%
ალექსანდრე კართხია	21%	21%
გოჩა ვარდიძე	12%	12%
ჯემალ აბშილავა	9%	9%
იგორ ჯანყულაშვილი	9%	9%
მურმან მჭედლიშვილი	9%	9%
ელგუჯა პაპიაშვილი	9%	9%
ირინა დურიხანოვა	9%	9%

კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებლები, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. დამფუძნებელთა მიერ გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.

კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - ალეკო ტყემალაძეს, რომელიც დანიშნულია დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

კომპანიაში მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- ა) ადამიანური რესურსების მართვის, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება;
- ბ) ფინანსური განყოფილება;
- გ) ლოჯისტიკის განყოფილება;
- დ) საინჟინრო-ტექნიკური განყოფილება; ე) საფრენოსნო განყოფილება;
- ზ) ადმინისტრაციული განყოფილება;

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია საშუალო რაოდენობაა 53, მათ შორის:

- 3 უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენელი - დირექტორი, მისი მოადგილე საფრენოსნო დარგში და ფინანსური მენეჯერი;
- 13 საშუალო რგოლის ხელმძღვანელი;
- 37 საფრენოსნო, საინჟინრო ტექნიკური, იურიდიული და ლოგისტიკური განხრის სპეციალისტები და სხვა თანამშრომლები.

კომპანიაში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ანაზღაურების სქემები, კერძოდ:

1. ფიქსირებული ანაზღაურების სისტემა.
2. ანაზღაურება ფრენა-საათების შესაბამისად.
3. სახელფასო დანამატების სისტემა.

შპს ავიასერვისის სახელფასო ფონდი 2024 წელს შეადგენს 1 335 346 რაც წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდაა შემცირებული,

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, კომპანიის მთავარი მამაძრავებელი ძალა მისი ადამიანური რესურსია, რის გამოც კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის შენარჩუნება-ამაღლებაზე, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვაზე და გაზრდაზე.

4. კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა (გაგრძელება)

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ავიაკომპანიის სამუშაო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია მუდმივად აკონტროლებს და ამოწმებს საფრენოსნო და საინჟინრო-ტექნიკური სპეციალისტების მომზადების დონესა და მათ შესაძლებლობებს.

აგრეთვე კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ხდება საფრენოსნო სამსახურის თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და კონტროლი.

კომპანიის მენეჯმენტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა კომპანია ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, კომპანიის თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევით, ასევე, თანამშრომლები სარგებლობენ მენეჯმენტის მიერ შემუშავებული საბონუსე სისტემით და ნაწილი თანამშრომლები წარმოადგენენ კომპანიის მეწილეებს.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

2021 წლის 31 დეკემბრიდან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიხედვით, აიკრძალა იმ ვერტმფრენის გამოყენება, რომელსაც არ გააჩნია EASA-ს მიერ გაცემული სერტიფიკატი. შესაბამისად, კომპანიას ეკრძალება მი-8 ტიპის შვეულმფრენების გამოყენება კომერციული საქმიანობისათვის. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან რისკს უქმნის კომპანიის მომავალ არსებობას, რადგან მისი ეფექტი ჯერ კიდევ ძლიერ მოქმედებს კომპანიის შემოსავლიდან. თუმცა კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს კომპანიის დახურვას ან საქმიანობის მნიშვნელოვან შეკვეცას. კომპანიას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა ახალ პროექტზე, რაც გულისხმობს სხვა ტიპის საჰაერო ხომალდებზე გადასვლას და საჰაერო ბიზნესის სახეობის შეცვლას. რასთან დაკავშირებითაც იგეგმება არსებული შემადგენლობის ნაწილის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. აღნიშნული პროექტის გაჭიანურება ამ ეტაპზე ძირითადად გამოწვეულია მსოფლიოში მიმდინარე არასასურველი პროცესების გამო, მიუხედავად ამისა კომპანია აგრძელებს პროექტზე მუშაობას და უახლოეს მომავალში გეგმავს ახალი საფრენოსნო ხომალდების მომწოდებლებთან პირისპირ შეხვედრას.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 მაისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ალექო ტყემალაძე